საქართველოს გარემოს დაცვისა
და სოფლის მეურნეობის სამინისტროს
წალკის მუნიციპალიტეტის, სოფელ ტბეთში (ხადიკში) მცხოვრებ
მოქალაქე მანუჩარ ირემაძეს (პ/ნ 33001080411)
ტელ: 574 23 03 56

სკრინინგის განცხადება

საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი"_ს მე-7 მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად წარმოგიდგენთ განცხადებას სკრინინგის პროცედურის გასავლელად და გთხოვთ თქვენს გადაწყვეტილებას.

მოგახსენებთ, რომ წალკის მუნიციპალიტეტის სოფელ ტბეთში (ხადიკი) გვსურს ბენზინგასამართი სადგურის მშენებლობა/მოწყობა 85.21.22.499 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე.

მოგახსენებთ, რომ მიწის ნაკვეთის დანიშნულების ცვლილებაზე შეტანილი გვაქვს განაცხადი საჯარო რეესტრში და მიმდინარეობს პროცესი.

პერსპექტივაში ბენზინგასამართი სადგურიდან უახლოესი დასახლებული პუნქტი დაშორებული იქნება 34_ი მეტრით.

ტერიტორია, რომელზეც ვაპირებთ ბენზინგასამართი სადგურის მოწყობას წარმოადგენს 3790 მ² ფართის მქონე ნაკვეთს, რომელზეც არ დგარს შენობა-ნაგებობა. ტერიტორიაზე უნდა აშენდეს ფარდული, მარკეტი, ავტოსახელოსნო და ავტოსამრეცხაო, რომელთა განაშენიანების კვადრატულობა შეადგენს 264 კვ.მ. ასევე მის წინა მხარეს უნდა ავაშენოთ ბენზინგასამართი სადგური მილკვადრატის კონსტრუქციით ე.წ. ფარდული, რომლის კვადრატულობა იქნება 24კვ.მ. ასევე უნდა მოხდეს აღნიშნული ფარდულის და მიწის ნაკვეთის წინა ტერიტორიის - 900 კვ.მ-ის მობეტონება.

ბენზინგასამართი სადგურს ექნება მიწისქვეშა სარკოფაგში განთავსებული ორი დიზელის და ბენზინის (მოცულობით 18 და 18 ტონა) საწვავის განკუთნილი რეზერვუარები.

ასევე ექნება საწვავმარიგებელი ერთი სვეტი ოთხი პისტოლეტით დიზელის და ბენზინის საწვავისთვის.

სვეტი დამონტაჟებული იქნება ბენზინგასამართი სადგურის გადახურული ფარდულის ქვეშ და დაკავშირებული იქნება პლასტიკის მილებით საწვავის ავზებთან.

საწვავი მიიღება მოხდება ავტოცისტერნის საშუალებით, ავზების შევსება მოხდება ტერიტორიაზე განთავსებული შემავსებელი სვეტის მეშვეობით.

რეზერვუარები განთავსებული იქნება მიწის ქვეშ. მათი „სასუნთქი სარქველები"_ს სიმაღლე იქნება H=3.0 მ, ხოლო დიამეტრი D=48 მმ. რეზერვუარები დაფარული იქნება ანტიკოროზიული ნივთიერებით.

ბენზინისა და დიზელის საწვავის მომხმარებელზე რეალიზაციის წლური მაქსიმალური ჯამური რაოდენობა იქნება 1950 მ³, საიდანაც 1100 მ³ იქნება დიზელის საწვავი და 850 მ³ ბენზინის საწვავი.

№ 2828
18 " 02 2021
3/ 2021

რეზერვუარიდან საწვავი მიეწოდება ავტოგასამართ სვეტს, საიდანაც მოხდება ატომობილების ავზების შევსება.

ტერიტორიაზე განთავსებული იქნება მეხამრიდი, რომლის მოქმედების არეალი გავრცელება მოხდება ავტოგასამართი სადგურის სრულ ტერიტორიაზე. ასევე საწვავის მიღების მომენტში ავტოცისტერნის დაერთება მოხდება დამიწების ჭანჭიკზე. პროექტის მიხედვით ასევე მოწყობილი იქნება სარეზერვუარო პარკისა და შენობაში დამონტაჟებული ცენტრალური მართვის კარადის დამიწება.

ტერიტორიაზე მოეწყობა წყალმომარაგების და კანალიზაციის შიდა სისტემა, ასევე ხანძარქრობისთვის ობიექტის ტერიტორიაზე განთავსდება 4 m^3 მოცულობის წყლის რეზერვუარი.

წყლის მომარაგება მოხდება წალკის მუნიციპალიტეტის წყალმომარაგების შიდა ქსელის სისტემიდან, ხოლო შიდა საკანალიზაციო ქსელი მიერთებული იქნება სპეციალურად კანალიზაციისთვის მოწყობილ მიწისქვეშა სეპტიკზე.

ბენზინგასამართ სადგურზე განლაგებული ნაგვის ურნები დასტიკერებული იქნება სხვადასხვა სახის ნარჩენებისთვის ინდივიდუალურად, ასევე განთავსებული იქნება სახანძრო დაფები და ცეცხლმაქრები, სახანძრო ინვენტარი და სხვა დღევანდელი კანონმდებლობით მოთხოვნილი სავალდებულო საშუალებები.

საწარმოს საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, ადგილი ექნება საწარმოს უბანზე მავნე ნივთიერებათა წარმოქმნას და მათ შემდგომ გაფანტვას ატმოსფეროში. საწარმოს მიერ ატმოსფერულ ჰაერში გაფანტულ მავნე ნივთიერებებს წარმოადგენს: ნავთობპროდუქტების ნახშირწყალბადები. ნავთობპროდუქტების ნახშირწყალბადების მაქსიმალური ინტენსივობები დაფიქსირდება ავტოცისტერნებიდან რეზერვუარებში ნავთობპროდუქტების მიღებისას და ავტომობილების გამართვისას.

ავტოგასამართი სადგურის ფუნქციონირებისას წყალი საწარმოო მიზნებისათვის არ გამოიყენება, წყალი გამოიყენება მხოლოდ საყოფაცხოვრებო და სახანძრო მიზნებისათვის. რადგან ავტოგასამართი სადგურის სვეტი განთავსებული იქნება ზემოდან გადახურული ფარდულის ქვეშ, სანიაღვრე წყლების დაბინძურების რისკი ნავთობპროდუქტებით არ იქნება. ხოლო სანიაღვრე წყლების მართვის შესახებ მოგახსენებთ, რომ მათი ჩადინება მოხდება სპეციალურად მისთვის განკუთვნილ სალექარით აღჭურვილ ავზში და მისი გატანა მოხდება შესაბამისი მანქანა დანადგარით სპეციალურად გამოყოფილ ადგილას.

ის გარემოება, რომ ჩვენი ნაკვეთი მდებარეობს წალკის (ხრამის) წყალსაცავთან ჩვენთვის ცნობილია და მოგახსენებთ, რომ ჩვენი საქმიანობიდან გამომდინარე ზედაპირულ და გრუნტის წყლებზე ზემოქმედებას არ გამოიწვევს გამომდინარე იქედან, რომ ჩვენს ტერიტორიაზე არ გადის ზედაპირული წყალი და არ ვაკეთებთ გრუნტის სიღრმისოვან გათხრას. წალკის წყალსაცავიდან ჩვენი საპროექტო ობიექტი დაშორებულია 319 მეტრით ხოლო საწვავის ავზები კი 336 მეტრით, რომლის დასაზუსტებლად დამატებით დანართის სახით წარმოგიდგენთ ამზომველი ფირმის (შპს სერვის+ 446956303) მიერ შერულებული სამუშაოების აქტს.

საწარმოს მუშაობის პროცესში ხმაურის გავრცელების დონეების გადაჭარბება არ მოხდება.

ბენზინგასამართი სადგურის ტერიტორიაზე და მის უშუალო სიახლოვეს ფიქსირდება მრავალწლოვანი მცენარეული სახეობა ფიჭვის ხე (რაოდენობით 3 (სამი)) ცალი. იგეგმება აღნიშნული 3 ცალი ფიჭვის ხის მოწრა, რომლებიც არ შედის წითელი ნუსხით დაცულ სახეობებში. ასევე არ ფიქსირდება (იხ. სურათი 1.) სხვა მრავალწლოვანი მცენარეული სახეობები, მითუმეტეს წითელ ნუსხაში შეტანილი სახეობები. ასევე არ ფიქსირდება ცხოველთა სახეობები.

ავტოგასამართ სადგურში დასაქმებული იქნება ადგილობრივი მოსახლეობა, რის გამოც დემოგრაფიული ცვლილებები მოსალოდნელი არ არის. წლის განმავლობაში სამუშაო იქნება ყოველდღიურად და იმუშავებს ოპერატორად 3 ადამიანი მონაცვლეობით ყოველ 8 საათში ერთხელ - 24 საათის განმავლობაში. ასევე იმუშავებს დამატებით ორი ადამინაი მენეჯერის და ბუღალტერის პოზიციაზე სამუშაო საათებში დღისით.

საწარმოს საქმიანობა დადებით გავლენას მოახდენს რეგიონის სოციალურ-ეკონომიკურ გარემოზე.

ბენზინგასამართი სადგური მშენებლობისას და ფუნქციონირებისას რაიმე სახის ბუნებრივი რესურსები არ იქნება გამოყენებული. მშენებლობის პროცესში საყოფაცხოვებო და სახიფათო სამშენებლო ნარჩენების წარმოქმნა არ მოხდება. ასეთის არსებობის შემთხვევაში მოხდება მათი შეგროვება და გატანა კანონმდებლობის დადგენილი წესების მოხედვით.

მშენებლობის ეტაპზე გრუნტზე ზემოქმედების და მისი შემდგომი მართვის შესახებ მოგახსენებთ, რომ ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნისას მოხდება მისი გადატანა და მოწყობა ჩვენს საკუთრებაში 85.21.22.499 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთის უკან მდებარე ტერიტორიაზე, რომლის ათვისება ბენზინგასამართი სადგურის მოწყობისათვის არ გვჭირდება და რჩება თავისუფალი.

ავტოგასამართი სადგურის ფუნქციონირებისას კუმულაციური ზემოქმედება არ არის მოსალოდნელი, რადგან მის სიახლოვეს ანალოგიური ტიპის ავტოგასამართი სადგური არ არის.

ბენზინგასამართი სადგურის ოპერირებისას ავარიული სახით შესაძლებელია მოხდეს თხევადის საწვავის გაცემისას დაღვრა. ბენზინგასამართი სადგურის გასაცემი სვეტის მოედანის გარე პერიმეტრზე მოეწყობა შემკრები არხები, რომელიც შეერთებული იქნება მიწისქვეშა ნავთობდამჭერ ავზთან და საწვავის დაღვრის შემთხვევაში მოხდება მისი ჩადინება ავზში, რომლის შემდგომ მოხდება მისი გადაცემა შესაბამის ორგანიზაციებზე. ამით აცილებული იქნება მათი გარემოში მოხვედრა და გარემოს დაბინძურება. სახანძრო უსაფრთხოების მიზნით.

განმცხადებელი: _____

15.02.2021